ხაშურის მოამბე

№26 (277) 12 ოქტომბერი, ორშაბათი, 2020 წელი

მასწავლებლებს პროფესიული დღესასწაული მიულოცეს

5 ოქტომბერს, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ, სხვადასხვა საჯარო სკოლებში დასაქმებულ მაძიებელ მასწავლებლებს და სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტს, პირველი საჯარო სკოლის დირექტორს-მორის დანდურიშვილს, პროფესიული დღესასწაული მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგების ღვაწლი ფასდაუდებელია და მეტწილად, სწორედ მათზეა დამოკიდებული მომავალი თაობების აქტიურ მოქალაქეებად, თანამედროვე საზოგადოების ლიდერებად და მოაზროვნე ადამიანებად ჩამოყალიბება.

მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ორგანიზებით, პედაგოგებს თაიგულები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

შეხვედრის ბოლოს, პედაგოგებმა მადლობა გადაიხადეს დაფასებისთვის და მასწავლებლის დღის მილოცვისთვის.

მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგების წახალისება, ხაშურის მუნიციპალიტეტში უკვე ტრადიციულ ხასიათს ატარებს და პროფესიის პოპულარიზაციას ემსახურება.

გვირგვინით შეამკეს დიდი უკრაინელი პოეტი ქალის ძეგლი

ქართულ უკრაინული მეგობრობის ტრადიციული ყოველწლიური დღესასწაული ლესიაობა მიმდინარე წელს COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სიმბოლურად აღინიშნა.

გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ქალის ძეგლი გვირგვინით შეამკეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა, საქართველოში ლესია უკრაინკას საზოგადოების თავმჯდომარემ ტარიელ გოგოლაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის და ლესია უკრაინკას მუზეუმის წარმომადგენლებმა.ლესია უკრაინკამ ცხოვრების ბოლო პერიოდი საქართველოში - დაბა სურამში გაატარა. იგი სურამში გარდაიცვალა.

ლესიაობის დღესასწაული სურამში ჯერ კიდევ 1952 წლიდან აღინიშნება. ხაშურის მუნიციპალიტეტსა და პოეტის მშობლიურ ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკს მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებთ.

პანდემიამ „ხაშურქალაქობა“ ერთი წლით გადაგვიწია

სექტემბრის ბოლო, ოქტომბრის დასაწყისი-წელიწადის ეს დრო ჩვენი ქალაქისთვის მართლაც განსაკუთრებულია-თითოეული ხაშურელი თუ მუნიციპალიტეტის მცხოვრები, საყვარელი ქალაქის დღესასწაულს აღნიშნავს-ხაშურქალაქობას. თუმცა, წელს, გასაგები მიზეზების გამო, ეს დღესასწაული არ შედგა. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერია განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ყოველ წელს, ამ დროს, როცა შემოდგომა ძალას მოიკრებს და ხვავსა და ბარაქას უხვად შემოიტანს, ჩვენს ქალაქში ოქროს შემოდგომის დღესასწაული - ხაშურქალაქობა იმართება.

ყოველ წელს, ამ დროს ჩვენი ქალაქი განსაკუთრებით ფერადი და ხმაურიანია - სავსე მუსიკით, ცეკვით, ღიმილიანი ადამიანებით - სასურველი სტუმრებით და მხიარული მასპინძლებით.

2020-ში პანდემიამ მსოფლიო წესრიგი შეცვალა. ეპოდემიოლოგიურმა სიტუაციამ ჩვენს დღესასწაულზეც მოახდინა გავლენა, მაგრამ უცვლელია ის სითბო, სტუმართმოყვარეობა და საკუთარი ქალაქის სიყვარული, რაც თითოეულ ხაშურელს გვაერთიანებს.

გვჯერა, ჩვენი მოქალაქეების მაღალი პასუხისმგებლობის შედეგად, პანდემია მშვიდობიანად გადაივლის და მომავალ წელს, ისევ ამ დროს, მაშინ, როცა შემოდგომა ძალას მოიკრებს, ჩვენ ერთად ვიზიმებთ ხაშურქალაქობას“–ნათქვამია მერიის განცხადებაში.

წელსაც ასე უნდა გალამაზებულიყო ხაშურის ქუჩები, მაგრამ...

გიორგი გახარია - წესები გვჭირდება იმისთვის, რომ ნორმალური სოციალური ცხოვრებით ვიცხოვროთ

წესები გვჭირდება იმისთვის,რომ ნორმალური სოციალური ცხოვრებით ვიცხოვროთ - არ დავხუროთ ეკონომიკა,არ დავხუროთ განათლება და სკოლები,არ დავხუროთ პოლიტიკური პროცესი,- ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ, უწყებათაშორისი საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ეს არის გლობალური წესები, რომელიც მოქმედებს მთელ მსოფლიოში და ამ წესების დაცვის დისციპლინა არის იმის გარანტი, რომ ქვეყანა მშვიდად გააგრძელებს ცხოვრებას.

„ყოველთვის ვამბობდით და დღესაც ვაფიქსირებთ, რომ ვიმყოფებით ადაპტაციის და მართვის ეტაპზე, რაც ჩვენთვის არის უკიდურესად მნიშვნელოვანი ეტაპი. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველამ თავისი ფუნქცია იცოდეს ზუსტად - სახელმწიფომ, მოქალაქემ, ისევე, როგორც კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებმა, საერთო ჯამში - ბიზნესმა. მთავარი არის ის, რომ ამ ადაპტაციის ეტაპზე ვცხოვრობთ ვირუსთან ერთად, თუმცა რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს უნდა ხდებოდეს გარკვეული წესებით და ეს წესები ძალიან მარტივია შესასრულებლად. ეს წესები გვჭირდება იმისთვის, რომ ნორმალური სოციალური ცხოვრებით ვიცხოვროთ - არ დავხუროთ ეკონომიკა, არ დავხუროთ განათლება და სკოლები, პოლიტიკური პროცესი და ამისთვის გვჭირდება წესების დაცვა. ეს არის გლობალური წესები, რომელიც მოქმედებს მთელ მსოფლიოში და ამ თანაცხოვრების ხარისხი, წარმატება და ჩვენი დისციპლინა, რომლითაც ამ წესებს დავიცავთ, არის იმის გარანტი, რომ ჩვენ წყნარად, მშვიდად, ნორმალურად გავაგრძელებთ ცხოვრებას. აღვადგენთ ეკონომიკას, სამუშაო ადგილებს და მშვიდობიანად, ყველანაირი დაძაბულობის გარეშე ჩავატარებთ პოლიტიკურ პროცესებს“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის მეთაურის თქმით, ვირუსის გამოჩენიდან დაახლოებით 7-8 თვე გავიდა და გამოწვევა იმდენად გლობალურია, რომ მსოფლიოში, ჯერჯერობით, პირბადის, დისტანციისა და ჰიგიენის დაცვის ელემენტარული წესების გარდა,

ვირუსთან გამკლავების სხვა უფრო ქმედითი, ეფექტური ინსტრუმენტი ვერავინ მოიგონა.

პრემიერმა საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე ისაუბრა და აღნიშნა,რომ ხელისუფლებას თავიდანვე თანმიმდევრული მიდგომა ჰქონდა.

„ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ პირველი ეტაპის შემდეგ, რომელიც იყო შეკავების და რომელსაც თავისი მიზანი ჰქონდა, ამ მიზნებს წარმატებით მიაღწია და წარმატებულად შეფასდა მთელს მსოფლიოში, ჩვენ გადავედით ადაპტაციის და თანაცხოვრების ეტაპზე. აქ პირველია სწრაფი გამოვლენა, რომელსაც აქვს თავისი ინსტრუმენტები - ეს არის ეფექტური და მიზნობრივი ტესტირებების ხარისხის ზრდა. შემდეგია სწრაფი მკურნალობა, რაც ჩვენ უკვე დავიწყეთ კლინიკური ჯგუფის საშუალებით, კლინიკურ პროცესებში ცვლილებების და კლინიკური პროცესების მართვაში ცვლილებების შეტანით. მესამე კი არის ადამიანი ნორმალური, სწრაფი დაბრუნება ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც უფრო ეკონომიკური განზომილებაა“, - აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი გახარიას თქმით, თუ პანდემიის დასაწყისში საქართველოში ტარდებოდა 200 ჩდ-ტესტი, დღეს ქვეყანა აკეთებს 10 000-ზე მეტ ჩდ ტესტს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ კუთხით არსებული რესურსიც შეუზღუდავი არ არის და ეს პროცესი უნდა იყოს მიზნობრივი.

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ტესტირების ნაწილში ყველაზე მნიშვნელოვანია ექიმების ტესტირება, რათა ექიმებს შორის ინფიცირების ტალღების პრევენცია მოხდეს.

„მიზნობრივი ტესტირება ნიშნავს იმას, როდესაც ადამიანს უჩნდება პირველი სიმპტომები, რა თქმა უნდა, ის უნდა გაიტესტოს. რა არის სისტემური ტესტირება? სისტემური ტესტირება არის კონკრეტული სოციალური ჯგუფების ტესტირება მაგალითად ექიმების, მასწავლებლების, პოლიციელების, მძღოლების, ეს კეთდება იმისთვის, რომ ქვეყნისთვის სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხოვრების მიმდინარეობის განმსაზღვრელი სექტორები არ გაჩერდეს“,- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი გახარიას შეფასებით, ის, რომ დღეს საქართველო, საშუალო ევროპულ ქვეყანაზე უფრო მეტ ტესტს აკეთებს 100 000 მოქალაქეზე, არის იმის გარანტი, რომ მსხვილი რისკები სოციალურ ჯგუფებში არ შეიქმნას.

„წესად უნდა მივიღოთ, რომ ინფიცირებულის კონტაქტები გადავიდეთ თვითიზოლაციაში და თუ რაიმე სიმპტომი არ გვაქვს, ვიყოთ ოჯახის ექიმის მართვაზე. ეს არის ის ცვლილება, რაც ჩვენ კლინიკური მართვის ნაწილშიც შევიტანეთ. სწრაფი გამოვლენის ეტაპი ნიშნავს მიზნობრივი ტესტირების ხარისხის გაზრდას და სისტემურ ტესტირებას. ეს არის ერთი ეტაპი, რომელიც უკვე დალაგებულია“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, კლინიკურ მართვაში შეტანილია სერიოზული ცვლილებები, რომელიც სრულად თანხვედრაშია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებთან და ეს ნიშნავს იმას, რომ მსუბუქი, ან უსიმპტომო პაციენტების მართვა, პირველადი ჯანდაცვის რგოლების შესაბამისად, ბინაზე მოხდება.

„იქ, სადაც ჩვენს მოქალაქეებს არ აქვთ იზოლაციაში ყოფნის ელემენტარული წესების დაცვის შესაძლებლობა, ასეთი შემთხვევებისთვის შევქმენით კოვიდ-სასტუმროები, სადაც ისინი იზოლაციაში მოთავსდებიან და მათი მკურნალობა გაგრძელდება. როგორც კი აქ ჩნდება პირველი სიმპტომები, რა თქმა უნდა, ერთვება სწრაფი გამოვლენის პირველი ეტაპი - ტესტირება და ეს ადამიანი ექვემდებარება სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობას. აქ, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს, სამედიცინო სისტემის კრიტიკული და მძიმე პაციენტების მართვის ინფრასტრუქტურა ქვეყანაში, სრულად არის მზად იმისთვის, რომ მძიმე და კრიტიკული პაციენტები სწორად მართოს. ამისთვის არის შექმნილი კლინიკური ჯგუფიც, ამისთვის ჩვენ უკვე შევქმენით რეანიმატოლოგების ცალკე ჯგუფი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით სრულად მართავს ამ პროცესს“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერის თქმით, მესამე ეტაპია ეკონომიკურ ცხოვრებაში ადამიანის სწრაფად დაბრუნება და ამ პროცესში მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც სახელმწიფოსა და ორგანიზაციებს, ისე თითოეულ მოქალაქეს.

„ეტაპები გააზრებულად, თანმიმდევრულად სრულად არის სტრუქტურირებული. ჩვენ ვამბობთ, რომ პირველი ეტაპი არის სწრაფი გამოვლენა, ეს ეხება პირდაპირ მიზნობრივი ტესტირების ხარისხს, მეორე ეტაპია სწრაფი მკურნალობა, რომელიც ეხება კლინიკური მართვის პროცესის უფრო ეფექტურად მორგებას დღევანდელი ადაპტაციის ეტაპისთვის და მესამე ეტაპია ეკონომიკურ ცხოვრებაში ადამიანის სწრაფად დაბრუნება. აქ უმნიშვნელოვანესი კომპონენტია წესების დაცვა. ჩვენ პირბადე უნდა გავიკეთოთ და სოციალური დისტანცია დავიცვათ პირველ რიგში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკური აღდგენა და სამუშაო ადგილების აღდგენა სხვებთან შედარებით უფრო ეფექტური და სწრაფი იყოს, რასაც აქამდეც სხვებთან შედარებით ბევრად უკეთ ვაკეთებდით და რასაც ვაგრძელებთ. ჩვენ უბრალოდ რამდენიმე კომპონენტი გვემატება - პირველი არის საარჩევნო-პოლიტიკური პროცესი, რომელსაც არ და ვერ გავაჩერებთ. მიუხედავად ზოგიერთი ვაიექსპერტის მოწოდებისა, ეს არის ხელშეუხებელი პროცესი და ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები, პირბადით, დისტანციის დაცვით, არის პრიორიტეტი, რომლითაც საქართველომ მთელს მსოფლიოს უნდა ანახოს, რომ ასეთ მდგომარეობაშიც შესაძლებელია ნორმალური ცხოვრების გაგრძელება, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა, მთავრობა, მოქალაქე, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციები ზედმიწევნით იცავენ წესებს და აქვთ დისციპლინის მაღალი ხარისხი“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, თავიანთი წილი პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებსაც - ეს არის თერმოსკრინინგი და შესაძლებლობის შესაბამისად, მაქსიმალურად დისტანციურად მუშაობა.

„თუ რომელიმე თანამშრომელი არის ინფიცირებულის კონტაქტი, მას უნდა მივცეთ საშუალება და მოვუწოდოთ, გადავიდეს თვითიზოლაციაში, ეს არის ელემენტარული წესების დაცვა. საჭიროა სამუშაო ადგილზე დისტანციის დაცვა, დახურულ სივრცეებში პირბადის ტარება და ა.შ. რაც შეეხება მოქალაქეებს, მათი მხრიდან მარტივი წესებია დასაცავი, პირბადის ტარება, სოციალური დისტანციის დაცვა, ელემენტარული ჰიგიენის წესების დაცვა. მინდა, ჩვენს მოქალაქეებს მივმართო - 8 თვე გავიდა პანდემიის დაწყებიდან და ვერავინ, ვერც ერთმა უძლიერესმა სისტემურმა სახელმწიფომ თავის მოქალაქეს ვერ შესთავაზა უფრო ეფექტური და ქმედითი წესები, მკურნალობის უფრო ეფექტური ხერხი ან თავდაცვის საშუალება, გარდა პირბადის ტარების, სოციალური დისტანციისა და ჰიგიენური წესების დაცვისა. ამიტომ, იმ შემთხვევაში, როდესაც ელემენტარული სიმპტომები გვიჩნდება, პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, მივმართოთ ოჯახის ექიმს, პირველადი ჯანდაცვის რგოლს, ან დავრეკოთ 112-ზე. ყველა დონეზე სრულად დატრენინგებული არიან შესაბამისი თანამშრომლები, როგორ უნდა მართონ ადამიანი, როდესაც მას გაუჩნდება სიმპტომები, რა შემთხვევაში უნდა იყოს ბინაზე მკურნალობა და რა შემთხვევაში ტესტირება და სტაციონარში გადაყვანა. ეს ყველაფერი მკაფიოდ დალაგებულია და მუშაობს. ჩვენი მოქალაქეებისადმი მოწოდებაა, დავიცვათ წესები, რომელსაც ჩვენი ექიმები გვთავაზობენ“, - აღნიშნა პრემიერმა.

რაც შეეხება მაღალი რისკის ჯგუფის მოქალაქეებს - ხანდაზმულებსა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს, მთავრობის მეთაურის განცხადებით, მათ მიმართ განსაკუთრებული ყურადღება იქნება როგორც სამედიცინო სექტორის მხრიდან, ასევე საჭიროა მათთან მიმართებაში მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამოვლენა.

„საბოლოო ჯამში, მოქალაქეების პასუხისმგებლობაა ელემენტარული წესების დაცვა; როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ორგანიზაციების პასუხისმგებლობაა - მაღალი ხარისხის დისციპლინა. თითოეული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობა იქნება რამდენად ეფექტურად იმართება კოვიდის რისკები იმ პროტოკოლების შესაბამისად, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს დამტკიცებული აქვს, ერთხელ უკვე დაგზავნილია ყველგან და კიდევ ერთხელ დავაგზავნით. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არის ყველაზე მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი და ის მოიცავს სწრაფ გამოვლენას, რაც ნიშნავს ტესტირების ეფექტურ და მიზნობრივ მართვას; სწრაფ მკურნალობას, რაც ნიშნავს კლინიკური პროცესის ეფექტურ მართვას და მესამე, რა თქმა უნდა, ნორმალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში ადამიანის სწრაფ დაბრუნებას“, - განაცხადა გიორგი გახარიამ.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, დღეს საქართველო რჩება მწვანე ქვეყნად და სხვებთან შედარებით ეფექტურად მართავს პანდემიას ადაპტაციის და მართვის ეტაპზე, მაგრამ ესეც არ არის მთავარი განმსაზღვრელი.

პრემიერის შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რისკები არ შეექმნას მოქალაქეების ჯანმრთელობას, ეკონომიკის სწრაფ აღდგენას და საარჩევნო პროცესს.

„ჩვენ შეიძლება, მწვანე ქვეყნის სტატუსი ხვალ დავკარგოთ, ზეგ ისევ მოვიპოვოთ. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა, რომ არ დაგვჭირდეს შეზღუდვების დაწესება, რომელიც სერიოზულ დისკომფორტს და რისკებს შეუქმნის ეკონომიკის სწრაფ აღდგენას და რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, სწრაფად, ეფექტურად დავასრულოთ საარჩევნო პროცესი და ჩავატაროთ ყველაზე გამჭვირვალე და ყველაზე დემოკრატიული არჩევნები პანდემიის პირობებში საქართველოში“, - აღნიშნა გიორგი გახარიამ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №19

2020 წლის 6 ოქტომბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ოქტომბრის №48 დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 13/10/2015; 010250050.35.143.016357).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

დანართი #1

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული საქმისწარმოების წესი (შემდგომში-წესი) არეგულირებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში მერია) „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის 64 დადგენილების შესაბამისად, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოების განხორციელების პირობებს.

2. მერიის საქმისწარმოებაში გამოყენებული ელექტრონული დოკუმენტების სახეები, მათი გაფორმების სტანდარტები განისაზღვრება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ავტომატიზებული დოკუმენტბრუნვის პროგრამით, აგრეთვე ავტომატიზებული ელექტრონული პროგრამით: „მუნიციპალიტეტის მართვის სისტემა“.

3. მერიაში ელექტრონული საქმისწარმოების სრულ დანერგვამდე, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემისა და მოქმედი კანონმდებლობის გარდა,გამოიყენება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 სექტემბერის №93 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის ორგანოებში საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა - ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის სისტემა, რომლის მონაწილეთა შორის არსებული ურთიერთობები რეგულირდება ამ წესითა და სხვა ნორმატიული აქტებით;
2. ავტორიზაცია - მერიის შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომლის რეგისტრაციის შედეგად მიღებული „მომხმარებლის სახელისა“ და პაროლის მეშვეობით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში შესვლა, რომლითაც მერიის თანამშრომელი ადასტურებს საკუთარ ვინაობას და ახორციელებს ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმოწერას;
3. ციფრული ხელმოწერა - „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ხელმოწერა;
4. ელექტრონული დოკუმენტი - ელექტრონული,ოპტიკური ან მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი,გაგზავნილი, მიღებული ან/და შენახული წერილობითი ინფორმაცია;
5. განცხადება - დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა;
6. სამართლებრივი აქტი - მერიის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით გამოცემული სამართლებრივი აქტი;
7. დაინტერესებული მხარე - ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი,ადმინისტრაციული ორგანო,რომელთანაც დაკავშირებითაც გამოცემულია სამართლებრივი აქტი, აგრეთვე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამართლებრივი აქტი, ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება.
8. პირადი გვერდი - განმცხადებლის ინდივიდუალური გვერდი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, სადაც ფიქსირდება მისი დოკუმენტბრუნვა.

მუხლი 3 . ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და განცხადების წარდგენა

1. მერიის მიერ ელექტრონული საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება შესაძლებელია მერიაში წარდგენილი დაინტერესებული პირის განცხადებით (შემდგომში განმცხადებელი) ან/და მერიის ინიციატივით;
2. მერიაში განცხადების წარდგენის შემდეგ, მერიის ელექტრონულ საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს განცხადების (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებას, ატვირთვას, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში;
3. განცხადება მოწმდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნამდვილობაზე ან/და ორიგინალიდან მათ შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს;
5. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით მერიის შესაბამის სამსახურებს განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ გადაეგზავნება, თუ განმცხადებელი ვერ უზრუნველყოფს განცხადებაზე მიბმული ყველა სავალდებულო ველის შევსებას, რაც გულისხმობს საკითხის განხილვისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის ან/და ინფორმაციის მიწოდებას.
6. თუ განმცხადებელი მერიას არ წარუდგენს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს,ან ინფორმაციას,რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, მერია განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის. ვადის ამოწურვის შემთხვევაში მერია მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. განცხადების განხილვა და სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. მერიის მიერ ელექტრონული საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყება შესაძლებელია მერიაში წარდგენილი დაინტერესებული პირის განცხადებით (შემდგომში განმცხადებელი) ან/და მერიის ინიციატივით.
2. მერიაში განცხადების წარდგენის შემდეგ, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს განცხადების (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებას, ატვირთვას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში;
3. განცხადება მოწმდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4. განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის ნამდვილობაზე ან/და ორიგინალთან მათ შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს;
5. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით მერიის შესაბამის სამსახურებს განცხადება და თანდართული დოკუმენტები არ გადაეგზავნება, თუ განმცხადებელი ვერ უზრუნველყოფს განცხადებაზე მიბმული ყველა სავალდებულო ველის შევსებას, რაც გულისხმობს საკითხის განხილვისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის ან/და ინფორმაციის მიწოდებას.
6. თუ განმცხადებელი მერიას არ წარუდგენს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს,ან ინფორმაციას,რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, მერია განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის. ვადის ამოწურვის შემთხვევაში მერია მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობას უზრუნველყოფს მერიის საქმისწარმოების განყოფილება.

მუხლი 5. განცხადების განხილვის ვადები

განცხადების განხილვის ვადის დინება აითვლება მისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში განთავსების/ატვირთვის შემდგომი დღიდან. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით კანონმდებლობით დადგენილი ვადების ათვლისას საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსით“ განსაზღვრული უქმე და დასვენების დღეები არ იანგარიშება.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ №21,22,23,24)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე ხიდირბეგიშვილები საისტორიო დოკუმენტების თანახმად, XVII საუკუნის 30-იან წლებიდან ჩანან, რაც, ერთგვარად, განამტკიცებს იოანე ბატონიშვილის ცნობას ხიდირბეგიშვილებისათვის მეფე თეიმურაზის მიერ 1630 წელს ხაშურის ბოძების ფაქტს. კერძოდ, 1637 წლის როსტომ მეფის მიერ ზაქარია ავალიშვილისადმი მიცემული წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ ხიდირბეგიშვილებს მამული აქვთ სოფელ სომანეთში. წყალობის წიგნის მიხედვით, როსტომ მეფე ზაქარია ავალიშვილს უახლებს მისივე ნაქონი მამულის – სომანეთის– წყალობის სიგელს ხიდირბეგის მესხების გარდა. “...ხიდირბეგის მესხებს გარეთ” – ნათქვამია სიგელში.

XVIII საუკუნის 10-20-იანი წლების ერთ-ერთ დოკუმენტში დაფიქსირებულია ხიდირბეგიშვილების “კაცების” გვარები. ეს ის “კაცები” უნდა იყვნენ, რომლებიც ხაშურში სახლობენ და ერთი ნაწილი რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარშიც გვხვდება. ეს “კაცები” არიან: თოფჩიაშვილი, ქიტიასშვილი, ქუზიასშვილი, აბიასშვილი, ტაკვია, ნინია, ქიმერიძე გელია, ქიმერიძე პეტრია, ბაბალია, მენაბდისშვილი, ფოცხვერია, მეღორისშვილი, იაგუნდაშვილი.

მამუკა აბაშიძის მიერ ვახუშტი აბაშიძისათვის 1743 წლის 17 ივნისს მიცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში მოწმეთ დასახელებულია ხიდირბეგიშვილი.

1752 წელს გიორგი ხიდირბეგიშვილი თავის ძმებთან ქაიხოსროსთან და როსტომთან ერთად დიმიტრი ციციშვილს ჭარტლიულის ზვარს აძლევს სურამში: “ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ხიდირბეგიშვილმა გიორგიმ და ძმამან ჩემან... (აქ სახელი გამოტოვებულია) და ქაიხოსრომ და როსტომ თქვენ ბატონს ციციშვილს დიმიტრის და ძმისწულსა თქვენსა იოვანესა და შვილსა და მომავალსა სახლისა თქვენისა, ასე რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ზვარი ჭარტლიური თავისის სანაპიროთი როგორითაც ძველთაგან სანაპირო და ღობე ქონდეს: აქეთ მურვანისშვილების მიწის მიდგმამდი, ქვეით მარგლითავს მურვანისშვილის მოცემულის მიწის (მიდგმამდი), (იქით) ბაიაშვილის მიწის მიდგმამდი, ზეით კიდევ მურვანისშვილის მიწის მიდგმამდე”.

ხიდირბეგიშვილებს გარკვეული სამოხელეო თანამდებობაც სჭერიათ. სვიმონ ამირეჯიბის 1766 წლის 30 მარტის არზაში ყმის თაობაზე, ხიდირბეგიშვილი იასაულია. 1798 წლის 16 ივნისის ზაზა და დავით ამირეჯიბების ყმის საქმეზე განჩინებაში ავთანდილ ხიდირბეგიშვილია იასაული.

როგორც დოკუმენტებით დასტურდება, ხიდირბეგიშვილებსა და მურვანიშვილებს შორის XVIII საუკუნის 70-იან წლებში ურთიერთობა დაძაბულია. 1771 წლის დამდეგს, ერეკლე II-ის დავალებით, მისი კარის მდივანბეგები იესე მურვანიშვილს და როსტომ და ტეტია ხიდირბეგიშვილებს შორის სასისხლო საქმეს არჩევენ, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელთ მურვანიშვილის სასარგებლოდ დაედოთ “...მესამედი თეთრი ოქრო თუ ვერცხლი და ორი ნაწილი იარაღი, პირუტყვი და ვეჯი / ნაღდი/”.

ორი წლის შემდეგ, 1773 წლის დასაწყისში, ხიდირბეგიშვილებსა და მურვანიშვილებს შორის კვლავ გართულებულია ურთიერთობა. ამჯერად პირადად ერეკლე II ერევა საქმეში და ზემო ქართლის სადროშოს – საამილახოროს სარდალს რევაზ ამილახორს წერს: “... ხიდირბეგიშვილს მამუკას და როსტომს წიგნი მივწერეთ და დავიბარეთ, მურვანიშვილები სამართალში უჩივიან და ის წიგნი ერთის კაცის ხელით გაუგზავნეთ, რომ კარზედ ჩამოვიდნენ აპრილის 9-ს. რომელიც კაცი გაგზავნო, იასაულათ დაადგეს და ჩქარა გამოგზავნოს”.

სხვათა შორის, ზემოაღნიშნულ დაძაბულ ურთიერთობაზე მეტყველებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მამუკა ხიდირბეგიშვილის წერილს ლუარსაბ მურვანიშვილისადმი. მართალია, წერილი უთარიღოა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი იმავე პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ხიდირბეგიშვილსა და მურვანიშვილებს შორის ურთიერთობა დაძაბულია. ამას ადასტურებს წერილის ტექსტი, რომელიც ეხება ოსიაურელ კოჩაძეს. იგი ხიდირბეგიშვილის მამულიდან არის გაპარული და მისი საქმე უნდა გაარჩიოს ლუარსაბ მურვანიშვილმა. მამუკა ხიდირბეგიშვილი აფრთხილებს ლუარსაბ მურვანიშვილს, რომ საქმე სამართლიანად გადაწყვიტოს. წერილში ნათქვამია: “...ასე რიგით დაიჭირე საქმე, რომ მე და შენ სამდურავი არ მოგვიხდეს, თორემ ქვეყანამ იცის, რომ ჩვენშიდ მტრობა არის და სხვაც არავინ დაიჯერებს შენს სიმართლეს”.

ხიდირბეგიშვილებთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალი. ამ გვარის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ლეკებთან ერთად არბევდნენ ზემო ქართლს. არაერთი დოკუმენტით დასტურდება მათი ურთიერთობა ახალციხის საფაშოსთან. ასე მაგალითად, 1772 წლის 16 ნოემბერს, ახალციხის ფაშის–სულეიმანის წაქეზებით ქართლს შემოსული ლეკის ჯარი როსტომ ხიდირბეგიშვილის წინამძღოლობით მიადგნენ ცხინვალს და “...რაც ციხის გარეთ ხალხი იყო, სულ დაატყვევეს ექვსას სულამდე”. მათვე აიღეს და აიკლეს ოსიაურის ციხეც.

1785 წელს სულეიმან ფაშას მიერ ქართლში დასაზვერად გამოგზავნილ ხასან ხანთაძეს ხაშურიდან ხიდირბეგიშვილის მოსამსახურე მეგზურობს გორისაკენ და სხვა.

ხიდირბეგიშვილის გვარის სხვადასხვა წარმომადგენელი ხშირად გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში.

1775 წლის 9 დეკემბრით დათარიღებულ გიორგი ლომოურის მოწმობის წიგნში ლუარსაბ მურვანიშვილთან ერთად მოიხსენიება როსტომ ხიდირბეგიშვილი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მესხეთიდან ქართლში გლეხების გადმოყვანაში.

1783 წლის 14 მარტის განჩინებაში ლუარსაბ მურვანიშვილსა და სურამის მამასახლისის დავაზე მოიხსენიება მამუკა ხიდირბეგიშვილი.

დათუა ბადრიაშვილის 1783 წლის 13 ივნისის არზაში მამულის თაობაზე ჩანს, რომ ხიდირბეგიშვილებს ბეკამში ჰყავთ ყმა /ბადრიაშვილი/.

ბერუა ქურდაძის 1785 წლის 28 ნოემბერის არზის მიხედვით, იგი ხიდირბეგიშვილებზეა სურამში “დაგირავებული” “...ამიღეს და ხიდირბეგიშვილებზე დამაგირავეს” – ნათქვამია დოკუმენტში.

ბეცია თარხნიშვილისა და ღვალაძის მამულის საქმეზე 1793 წლის 23 მარტის განჩინებაში მოიხსენიება მამუკა ხიდირბეგიშვილი. იმავე საქმეზე სხვა პირებთან ერთად, 1793 წლის 18 აგვისტოს განჩინებაში იულონ ბატონიშვილი მამუკა ხიდირბეგიშვილს ავალებს სადავო საკითხის გადაწყვეტას.

1793 წლის 19 სექტემბრის გლახა ფალავანიშვილის ყმის ლუარსაბ ნაგლაძის საქმის განჩინებაში იოანე ხიდირბეგიშვილია მოხსენიებული.

თარხან გიორგისა და მეითარ სოლომონის მამულის საქმეზე 1797 წლის 5 მარტის განჩინებაში კვლავ მამუკა ხიდირბეგიშვილი მოიხსენიება. იგივე მამუკა ხიდირბეგიშვილი მოიხსენიება იმავე წლის 20 დეკემბრის ყორღანაშვილების ყმების საქმის განჩინებაში.

ზაალ დავითაშვილისა და შანშე რამაზაშვილის მამულის საქმეზე 1800 წლის 13 ივნისის განჩინებაში “შეგდებულ მოფიცრებში” დასახელებულია ქაიხოსრო ხიდირბეგიშვილი.

1800 წლის 4 ივლისის ნინია ხიდირბეგიშვილის ყმების საქმეზე განჩინებით დასტურდება, რომ ხიდირბეგიშვილებს სურამში ებრაელებიც ჰყავთ ყმებად / ისაკა, აბრამა და მათი ძმები/.

ხიდირბეგიშვილებს, ზემო ქართლის სხვა თავადებთან ერთად, გარკვეული ვალდებულება ჰქონდათ სამეფო კარის წინაშე ლაშქარში სამსახურისა და სურსათის “გამოღების” თვალსაზრისით.

1783 წლის 14 ივლისის ზემო ქართლის საქვეყნო ხარჯის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ხიდირბეგიშვილების ყმებს უნდა გაეღოთ “...თეთრი თვრამეტი მინალთუნი” და “... პურის კოდი–თვრამეტი”.

1784 წლის 10 ივნისის ერეკლე II-ის ბრძანებით რუსის ჯარისათვის სურსათის გამოღების თაობაზე, ხიდირბეგიშვილის ყმებს უნდა გაეღოთ ფქვილი “... ხარვალი ორი, კოდი ზ შვიდი”.

ჯარის დაბარების შესახებ, ერეკლე II-ის 1787 წლის 26 დეკემბრის ბრძანების მიხედვით, მამუკა ხიდირბეგიშვილს ლაშქარში უნდა გაეყვანა “აზნაურიშვილი ერთი, გლეხიც ერთი”. იმავე წლით დათარიღებულ ჯარში გამსვლელთა ნუსხაში კვლავ მოიხსენიება “ხიდირბეგიშვილი მამუკა, ერთი აზნაურიშვილით და ერთი გლეხით” 1789 წლის 19 თებერვლის ერეკლე II-ის ბრძანებით მამუკა ხიდირბეგიშვილი ყარაბაღში გასაგზავნ ჯარში სამი კაცით უნდა გასულიყო.

გეორგიევსკის ტრაქტატის /1783წ./ დანართში–”ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში”, –შეტანილია ხიდირბეგიშვილის გვარიც. აქვე მოიხსენებიან მისი აზნაურების - ნათისშვილის და ოღძაელის გვარები.

ხიდირბეგიშვილის აზნაურები–ნათისშვილები და ოღძაელებიც, არაერთ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება. იოანე ბატონიშვილი ნათისშვილის შესახებ შემდეგ ცნობას გვაწვდის: “ამათი წინა-პარი მოვიდა სტამბოლიდგან ბერძენთა გვარი, რომელსა ეწოდა ნათან და დაესახლა ახალციხეს და იყო მუნ აზნაურად მიღებულ, და ოდეს ათაბაგი შეიქმნა მაჰმადიანი, ესენიც აიყარენ და შთამოყვნენ ხიდირბეგის შვილებს ქართლშია და დაეშენენ მუნ და არიან ცნობილ მცირე აზნაურად მეფისაგან დროსავე ლუარსაბისა მეფისა 1612 წ. და მეფის ირაკლის დროსაც იყო გლახა ნათისშვილი მიჩნეული მეცნიერებისა გამო...”

ნათიშვილი რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში დაფიქსირებულია გორათში.

ოღძალების გვარის შესახებ, იოანე ბატონიშვილი შემდეგს აღნიშნავს: “ამათნი წინა-პარნი არიან მკვიდრნი ადგილის ოღთისა და მის გამო მიიღეს გვარადცა ოღთაელობა და არიან მცირე აზნაურნი, ცნობილნი დროსვე მეფისა თეიმურაზისასა...” მეორე ვარიანტით: “არის სურამის ხეობიდანვე ძველად ოძელი სოფლიდამ და ადგილისა გამო გაუვარდა ოღძელი, ესენი იყვნენ დროსა თეიმურაზ მეფისასა 1640 წელს”.

სურამის ხეობაში არ ფიქსირდება სოფელი ოღთა ან ოძელი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ოღძელის გვარი, როგორც ამას იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს. აქ იგი, ალბათ, სოფელ ოძისს გულისხმობს, რომელსაც იგი სურამის წყლის ხეობის აღწერის დროს აფიქსირებს. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ სოფელ ოძისში აზნაური აბაზაძეები მკვიდრობდნენ.

გარდა ხიდირბეგიშვილებისა, ხაშურში მამულებს ფლობენ მურვანიშვილები და ჩხეიძეები. ერთ-ერთ საბუთში, რომელიც წარმოდგენს ლუარსაბ მურვანიშვილის ასულის მაიას თხოვნას, რომ მამამისს „ხაშურში საღალო მამულები გააჩნია“.

ხაშურიდან მიხაილოვომდე

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ ხაშური კვლავ პატარა სოფლად რჩებოდა, ამავე დროს იგი ძალზე ნელი ტემპით ვითარდებოდა. ამ პერიოდში ზემო ქართლში განსაკუთრებით დაწინაურებულია სურამი, რომელიც არა მარტო მხარის ერთ-ერთი ეკონომიკური, არამედ ადმინისტრაციული ცენტრიცაა. რაც შეეხება ხაშურს, მისი როლი მხარის ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალზე სუსტია, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმნიშვნელოც კი. ადმინისტრაციულ ცენტრად მის გადაქცევაზეც ჯერჯერობით არავინ ფიქრობს. ამიტომაა, რომ ათეული წლების განმავლობაში, თითქმის XIX საუკუნის მანძილზე იგი სოფელ ზემო ჭალის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა სოფელ ცხრამუხასთან ერთად.

აქ, 1802 წლის 2 მაისის მონაცემებით, მხოლოდ ქართული მოსახლეობაა, რომლებიც, სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით, განეკუთვნებიან სახაზინო და საბატონო გლეხების კატეგორიას. ადმინისტრაციული მოწყობის მხრივ, ამავე პერიოდიდან ხაშური გორის მაზრაში შედის.

1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, ხაშურში 25 კომლი მოსახლეა – 95 კაცი და 68 ქალი. აქედან მამუკა ხიდირბეგიშვილი ფლობს 9 კომლს (28 კაცი და 23 ქალი). მას ეკუთვნის 300 დღიური სახნავი მიწა, 2 წისქვილი, 2 ვენახის ბაღი, საიდანაც წლიურად იღებდა 100 კოკა ღვინოს.

აქვე თავად ე. ხიდირბეგიშვილს ერთი კომლი გლეხი ეკუთვნის (2 კაცი და 3 ქალი), ხოლო თავად ბეგთაბეგოვს 3 კომლი (20 კაცი და 11 ქალი). ეს უკანასკნელნი სარგებლობდნენ მემამულის სახნავი მიწით, რომელიც 100 დღიურს წარმოადგენდა.

როგორც აღწერიდან ჩანს, ამ დროს ხაშურში დარეჯან დედოფალი 12 კომლ გლეხს ფლობს (43 კაცი და 28 ქალი).

ხაშურის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა. განვითარებულია მებაღეობაც (მევენახეობა).

ხაშურის შესახებ საინტერესო მონაცემებს შეიცავს 1818 წლის კამერალური აღწერა, რომლის მიხედვით, თავადი დავით ხიდირბეგიშვილი აქ ფლობს 12 კომლ გლეხს, გიორგი ხიდირბეგიშვილი – 6, ლევან ხიდირბეგიშვილი – 1, როსტომ ხიდირბეგიშვილი – 2, ხოლო აზნაური მაღრაძე – 2 გლეხს.

ამ დროს აქ ცხოვრობდნენ ქიტიაშვილები, რაზმაძეები, აბიაშვილები, ბოლოკაძეები, ქურდაძეები, ქუზიაშვილები, შაბურიძეები, ლომუაშვილები, აბაიაძეები, მაცხონაშვილები, ბითაძეები, კვესაძეები.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ზაალ (ზაზა) დუგლაძე

დაიბადა 1971 წლის 14 თებერვალს, ქალაქ ხაშურში, სწავლობდა ხაშურის №3 საშუალო სკოლაში. 1989-1994 წლებში უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, სადაც დაამთავრა ტექნოლოგიური ფაკულტეტი ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით. 1996 წელს მუშაობდა სს „ვაზიანში“ ტექნოლოგის პოზიციაზე. 2000-2011 წლებში იყო ამავე წარმოების უფროსი. 2012 წლიდან დღემდე არის შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანიის“ გენერალური დირექტორი და არაერთი წარმატებული პროექტის ავტორი.

აქტიურად იყო დაკავებული თავისუფალი ჭიდაობითა და სათხილამურო სპორტით. არის სპორტული ტურნირების გამარჯვებული. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ჩემო ძვირფასო ხაშურელებო!

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოვდივარ, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო ჩემს ქვეყანას. ვიცი, არ იქნება მარტივი და მზად ვარ ამ სირთულეებთან გასამკლავებლად. ჩემი მხრიდან ეს იქნება ჯანსაღი კონკურენცია, რომელშიც აუცილებლად შევძლებ, მოვიპოვო ამომრჩევლის პატივისცემა. მე ვარ პროფესიონალი, კვალიფიციური, წარმატებული ადამიანების გუნდიდან. ვიქნები ჩემი ამომრჩევლის ინტერესების გამომხატველი, რადგან კარგი დეპუტატობა არის იმ ხალხის ერთგულება, რომელმაც აგირჩია.

ჩემი მთავარი ამოცანა იქნება ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა; სხვადასხვა ტიპის მუნიციპალური, კულტურის, ტურიზმის, სპორტის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა; ვიზრუნებ უფრო გამჭვირვალე და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასაქმების საკითხი, ამიტომ უნდა გაგრძელდეს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამები, რაც უზრუნველყოფს სოფლად სამუშაო ადგილების შექმნას. ვიქნები მუნიციპალიტეტში ოპტიკური ინტერნეტის ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდამჭერი, რათა გაიზარდოს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

ჩვენი რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მათი ინტერესების დაცვა იქნება ჩემი უპირველესი მოვალეობა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ უკეთესი მომავლისა და უკეთესი საქართველოსთვის!

ხაშურის ტერიტორიაზე საგზაო მონიშვნების დახაზვა მიმდინარეობს

ღონისძიება ქვეითთათვის და საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას ითვალისწინებს.

სამუშაოებს, რომლებიც მომდევნო კვირის ბოლოს დასრულდება, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“ ახორციელებს.

ორგანიზაციის განმარტებით, ქალაქის ტერიტორიაზე სამუშაოების დასრულების შემდეგ, ღონისძიება დაბა სურამის მიმართულებით გაგრძელდება.

ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, თაგვეთის დაკიდული ტიპის ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხიდი, მუნიციპალიტეტს სოფლებთან: ქაშვეთთან, კოდიწყაროსთან და თაგვეთთან აკავშირებს, შესაბამისად, პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე ხორციელდება.

„როგორც ხედავთ, მიმდინარეობს თაგვეთის ხიდის რეაბილიტაცია, რათა გადაადგილება უსაფრთხო იყოს როგორც ფეხით მოსიარულეთათვის ასევე, ტრანსპორტისთვის. სამუშაოები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 39 938 ლარს შეადგენს.“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას, მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ საკრებულოს დეპუტატები ლაშა ლურსმანაშვილი, არჩილ ჩაჩანიძე და მერიის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, პროექტი ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება, რაც ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს გააუმჯობესებს.



კაცი, რომელსაც უყვარს ხაშური, კაცი, რომელიც უყვარს ხაშურს

ჩვენ ქალაქს თავისი ადამიანები და კოლორიტები ჰყავს, რომლებიც ისტორიას ქმნიან თავიანთი საქმიანობით, აყვარებენ და ამახსოვრებენ თავს ხაშურელებს. დათო ღოღობერიძეს ცოტა თუ იცნობს და მიმართავს ნამდვილი სახელით და გვარით, ყველასთვის საყვარელი და ახლობელია "პაჟულა", ყველგანაა, სადაც ადამიანებს ჭირდებათ. მუსიკის სიყვარულმა და მეამბოხე სულმა, ბევრი რამე შეცვალა მის ცხოვრებაში, ბევრი ემოცია და თავგადასავალი მოუტანა, მაგრამ ხაშურისგან დიდხანს წასვლა არასდროს შეეძლო. დღეს მას ყველგან ნახავთ, მის ფოტოობიექტივში ბევრი ხაშურელი მოხვედრილა, უყვართ და მისი გამოჩენა ყველგან სასიხარულო და სასიამოვნოა. ბატონი დათო, ასე იხსენებს თავის საინტერესო ცხოვრებას:

–ხაშურში დავიბადე და გავიზარდე, სკოლაც აქ დავამთავრე, მერვე კლასიდან თბილისში წავედი სპორტულ სკოლაში სასწავლებლად, მაგრამ მალევე დავუბრუნდი მშობლიურ ქალაქს და სწავლა გავაგრძელე. მუსიკის სიყვარული ბავშვობიდან მომყვება. რამდენადაც თქვენთვის უცნაური და გასაკვირი არ უნდა იყოს,მუსიკის სიყვარულმა საზღვაო სასწავლებლამდეც მიმიყვანა. სურვილი მქონდა "ბიტლზების" სამშობლოში დამედგა ფეხი, მაშინდელი შეზღუდვების მიუხედავად, ბავშვობიდან თავისუფალ ცხოვრებაზე, შეგრძნებებზე, თავისუფლების მუსიკაზე ვოცნებობდი და საზღვაო სამსახური ამ ოცნების ახდენის ერთადერთ საშუალებად წარმომედგინა.



- თქვენს საზღვაო სამსახურზე და გამოცდილებაზე მოგვიყევით-რატომ გადაწყვიტეთ მეზღვაურობა?

–ბავშვობიდან განსხვავებულ მუსიკას ვუსმენდი,ჩაცმულობით და სტილითაც გამოვირჩეოდი თანატოლებისგან, ძალიან მინდოდა, ჩემი ოცნების მუსიკოსების ქვეყანაში მემოგზაურა, ამის შანსს კი მხოლოდ საზღვაო სამსახური თუ მომცემდა, სხვა შესაძლებლობა მაშინ, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ხუთწლიანი საზღვაო სასწავლებელი იყო, ყველაფერს ვიტანდი, დილით ადრე ადგომას, მკაცრ რეჟიმს, რომ ევროპაში გავსულიყავი. ბავშვობიდანვე განსხვავებული დამოკიდებულება და პროტესტი მქონდა არსებული რეჟიმის მიმართ, მახსოვს, კომკავშირში არ მიმიღეს ამის გამო. ქრისტეს ოპერა რომ შემოვიდა, პროკლამაციებს ვავრცელებდი, თანამოაზრეებიც მყავდა, ჩუმად ვიკრიბებოდით, ვისხედით, ვუსმენდით აკრძალულ მუსიკას. იესოს ცხვრებაზე ვავრცელებდით ინფორმაციას, რაც მაშინდელი საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი და აკრძალულიც კი იყო. ჩემი მშობლები გაგებით ეკიდებოდნენ ჩემ სურვილებს და მისწრაფებებს.

პირველად არ გამიმართლა, არ გამიხსნეს ვიზა და ბაქოში გამიშვეს პრაქტიკებზე. შემდეგ უკვე როტერდამში მქონდა პირველი გასვლა და მაინც ინგლისისკენ მიწევდა გული. ეს ის იყო, რაზეც ვოცნებობდი, ვერც შტორმს, ვერანაირ საფრთხეს ვერ ვგრძობდი, იმდენად მიხაროდა ოცნებებთან მიახლოება, ყველაფერზე ვამბობდი უარს, რომ ფირფიტები მეყიდა. პრაქტიკების მერე გამიმართლა და უკვე გემზე ამიყვანეს თანამშრომლად.

- სხვა ადამიანებისთვის მხოლოდ წარმოუდგენელი ოცნება იყო უცხო ქვეყნებში მოგზაურობა და თქვენ ეს შეძელით. სულ რამდენ ქვეყანაში იმოგზაურეთ და რომელმა ქვეყანამ დაგამახსოვრათ თავი ყველაზე მეტად?

–17 ქვეყანა და 27 ქალაქი მოვიარე, ერთი და იგივე ქალაქში ძალიან ბევრჯერ გვიწევდა გასვლა. ყველაზე დიდი ემოცია ამერიკასთან მაკავშირებს, თან გასვლები იმდენად შეზღუდული იყო მაშინ,ძალიან გამიმართლა. ყველას ეგონა, რომ დარჩენას ვაპირებდი საზღვარგარეთ და ეს იყო ჩემი მიზანი, თუმცა, ისე მიყვარდა ჩემი ქალაქი, არასდროს მიფიქრია სხვაგან ცხოვრება, როცა რომელიმე ქალაქში ვჩერდებოდით, "კაკებეშნიკები" დამყვებოდნენ, იმდენად არ მენდობოდნენ და ფიქრობდნენ, რომ დარჩენას ვაპირებდი-სულ კონტროლის ქვეშ ვიყავი.

- რატომ თქვით უარი მეზღვაურობაზე, ოცნების ასრულების შემდეგ, ინტერესი დაკარგეთ?

–ერთ-ერთი შვებულების დროს გავიცანი ქეთინო, ჩემი მომავალი მეუღლე, სამ თვეში დავქორწინდით და შემდეგ ისევ ოთხი თვე წავედი გემზე. გემზე მუშაობა არაა ადვილი, სულ საშიშროების და საფრთხის ქვეშ ხარ, რადგან ოჯახზე ავიღე პასუხისმგებლობა, გემზეც ვთქვი უარი. თუმცა, დღემდე ვთვლი, რომ გემზე გატარებული წლები, დღემდე დიდ ემოციასთანაა დაკავშირებული. ჰიუსტონში, ნასას ცენტრში ვარ ნამყოფი, ხუთი კაცი წაგვიყვანეს, საოცარი ემოცია მივიღე, დღესაც მახსოვს, "პაჟულაც" კი დავაწერე კედელზე.

- „პაჟულა" საიდან მოდის? ამ ზედმეტსახელმა გადაფარა თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი...

–ბავშვობის ზედმეტსახელია, მოდაში შემოვიდა ე.წ "პაჟები", რომელიც მარტო მე მეკეთა მთელ ხაშურში ყვითელ წინდებზე, ფორმის შარვალ-კოსტიუმზე. ამ "პაჟებიდან" მოდის ჩემი ზედმეტსახელიც, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო დაიხვეწა და გალამაზდა.

- თქვენი შეხება ობიექტივთან - როგორ დაიწყეთ, ეს იყო კომერციული ინტერესი, თუ ამ შემთხვევაშიც ბავშვობისდროინდელი დაინტერესება და ჰობი იყო?

- ბავშვობაში ჩემს კლასელს ჰქონდა ვიდეოაპარატი, რომელიც ჩემ დიდ ინტერესს იწვევდა. უამრავი ფირი გვაქვს გადაღებული, რომელიც ახლა ძალიან საინტერესო იქნებოდა, ერიკ კლეპტონთან გადაღებული კადრებიც კი მქონდა, ბევრი ძალიან საინტერესო კადრებიც, რომლებსაც არ მოვუფრთხილდი და გული მწყდება. ისევ ბავშვობას მივუბრუნდები, უამრავ კადრს ვიღებდით, მაგრამ არც გვიფიქრია, რომ ეს ისტორიის ნაწილი შეიძლებოდა გამხდარიყო. ჩემი ცხოვრება საინტერესოდ წარიმართა, პირველ არხზეც ვმუშაობდი, მუსიკალურ გადაცემებს ვაფორმებდი, მაგრამ ხაშურის ძახილი და სიყვარული სულ მქონდა, რკინიგზის კლუბშიც ვმუშაობდი, სხვადახვა ადგილას, ადგილობრივ ტელევიზიაში წლები გავატარე, მონტაჟს ვაკეთებდი,ჩემ ხელში გადიოდა უნიკალური კადრები. ტელევიზიიდან წამოსვლის შემდგე, ირინა გოგიტაურთან და ირინა გოცირიძესთან ერთად, სტუდია გავხსენი ჩემ სახლში, ტელევიზიის გახსნაც გვინდოდა, თუმცა, დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული და ვერ შევძელი. ტელევიზიიდან წამოღებული ვიდეო-მასალა დღემდე მე მაქვს, 2000 წლიდან გადაღებულ კადრებს ვინახავ. ამის შემდეგ, უკვე ქორწილების და სხვადასხვა ღონისძიებების გადაღება დავიწყე. ყველგან ფინანსურ დაინტერესებისთვის არ მივდივარ, ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, ქორწილის გადაღებისას, შევთანხმებულვართ ანაზღაურებაზე და ბევრად ნაკლები ამიღია მერე, ბევრი უფასოდაც გადამიღია, ადამიანებს, როცა ჭირდები, რთულია მხოლოდ შენ სარგებელზე იფიქრო.

- მომავლის დაგეგმვა თუ გიყვართ?

–ყველა სფეროში მინდა გარკვეული ვიყო და ვაკეთო რაც შემიძლია, ხან მუსიკას ვწერ ჩემთვის, ამბიციების გარეშე, არც არასდროს მიფიქრია ხაშურისგან, ჩემი მეგობრებისგან, ოჯახისგან ვყოფილიყავი შორს, არც პოლიტიკაში ვერევი, ყოველთვის ხმამაღლა ვაფიქსირებ ჩემ აზრს, კარგსაც და ცუდსაც. არც მომავლის დაგეგმვა არ მიყვარს, ყოველდღე ახალ ემოციებს ველოდები და ვაკეთებ საქმეს, რომელიც მიყვარს და იმ ქალაქში ვაკეთებ, სადაც ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია.

თ. ჯავახიშვილი

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის" და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 26 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე" გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გამოყოფილია გაზეთის მე-4 გვერდი (988სმ²), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494სმ²).

ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი – 148 ლარი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში – 98 ლარი და 80 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში – 49 ლარი და 40 თეთრი.

რედაქცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.